

საქართველოს კომერციული ბანკების ლიკვიდურობის ანალიზი

ნონა გიგუაშვილი
 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
 რეზიუმე

ნაშრომში ჩატარებულია საქართველოს კომერციული ბანკების ლიკვიდურობის ანალიზი ძირითადი კოეფიციენტების მიხედვით. გამოთვლების შედეგები შედარებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ ნორმატივებთან. დადგენილია, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებს გააჩნიათ ლიკვიდური აქტივების ჭარბი დონე, რაც დეპოზიტორების სიმშვიდის საფუძველს ქმნის.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკი. ლიკვიდურობის ანალიზი.


1. შესავალი

ბანკები საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ყოველი კერძო თუ იურიდიული პირი, ან სამთავრობო ორგანიზაცია სადებოზიტო ანგარიშებს იყენებს სხვა მხარეებისთვის თანხების გადასახდელად. თუ ბანკი არალიკვიდურ მდგომარეობაში იმყოფება და არ შესწევს უნარი, დააკმაყოფილოს კლიენტების მოთხოვნა გადახდაზე, მაშინ მისი რეპუტაცია საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში, კლიენტები ივარაუდებენ, რომ ბანკი გადახდისუუნაროა, რასაც შეიძლება მოჰყვეს დეპოზიტორების მიერ საბანკო ანგარიშებიდან მთელი ფულადი სახსრების გატანა. ამ მეტად კრიტიკულ მდგომარეობას – **დეპოზიტების გადინებას** უწოდებენ [1], რასაც ხშირად ბანკის დახურვა მოსდევს. უფრო მეტიც, შესაძლებელია, რომ ერთი ბანკის ლიკვიდაციას შედეგად მოჰყვეს საზოგადოების მხრიდან მთლიანი საბანკო სისტემის მიმართ ნდობის შესუსტება და სხვა ბანკების დახურვაც. ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ბანკების **ლიკვიდურობის ანალიზი**.

2. ძირითადი ნაწილი

ბანკების ლიკვიდურობის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი ძირითადი კოეფიციენტები [1]:


1. მთლიანი სესხები / მთლიანი აქტივები (ნახ.1):



ნახ.1

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ნორმატივების თანახმად, მაჩვენებელი – „მთლიანი სესხები / მთლიანი აქტივები” რეკომენდებულია, რომ მოთავსებულ იყოს 50%-სა და 75%-ს შორის [2]. განხილული ბანკებიდან ამ შუალედში ვერ მოხვდა „სახალხო ბანკი” (39,6%) [3]. მართალია, გაცემული სესხების ნაკლები რაოდენობა ამცირებს საპროცენტო შემოსავალს, მაგრამ ამ ბანკს აქვს შედარებით უფრო მაღალი საკომისიო შემოსავალი, რომელიც აკომპენსირებს აღნიშნული მაჩვენებლის დაბალ დონეს.


2. წმინდა სესხები / მთლიანი ვალდებულებები (ნახ.2):



ნახ.2

ბანკების მიერ გაცემული წმინდა სესხები (მთლიანი სესხები–სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი) წარმოადგენს ნაკისრ ვალდებულებათა გასტუმრების ერთ–ერთ ძირითად წყაროს. ამასთან, ბანკები სესხებს გასცემს უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით, ვიდრე იხდიან დეპოზიტებზე. ამიტომ აღნიშნული მაჩვენებლის მაღალი დონე მომგებიანია, თუმცა, გასათვალისწინებელია გაცემული სესხების დაბრუნებისა და ნაკისრ ვალდებულებათა გასტუმრების ვადები.

3. ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივები (ნახ.3):




ნახ.3

ჩვეულებრივ, ბანკებს აქტივების ძალიან მცირე ნაწილი აქვს წარმოდგენილი ნაღდი ფულის სახით, რადგან ისინი უმოდროდ სახსრებია და მთლიან შემოსავალში არანაირი წვლილი არ შეაქვთ, თუმცა, საბანკო საქმიანობის ბუნებიდან გამომდინარე, ბანკში ფულის ყოველდღიური მიმოქცევა გაცილებით მაღალია, ვიდრე მისი მთლიანი აქტივების მოცულობა მოცემულ დღეს [4]. ამასთან, საკმარისია, ბაზარზე შეიქმნას რაიმე პანიკური სიტუაცია, რომ მეანაბრები შეეცდებიან, ბანკიდან გაიტანონ როგორც მოთხოვნამდე, ისე ვადიანი დეპოზიტები. ამიტომ ბანკს უნდა გააჩნდეს ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე გასტუმრებისათვის საჭირო ლიკვიდური აქტივები.

ბანკის ლიკვიდური აქტივების დაბალი დონე გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ მისი ვალდებულებები ძირითადად წარმოდგენილია ფულადი სახსრების სტაბილური წყაროებით, როგორცაა გრძელვადიანი, მცირე მოცულობის ვადიანი დეპოზიტები. ლიკვიდური აქტივების დაბალი დონე შემაშფოთებელი იქნება, თუ ვალდებულებები უპირატესად შედგება დიდი რაოდენობის მოთხოვნამდე ან სამთავრობო დეპოზიტებისაგან.

განხილულ ბანკებს შორის, “ბანკი ქართუ“-ს აქვს ლიკვიდური აქტივების შედარებით დაბალი წილი, მაგრამ მის ვალდებულებებში ვადიანი დეპოზიტები წარმოდგენილია დიდი რაოდენობით.


4. მთლიანი დეპოზიტები / მთლიანი აქტივები (ნახ.4):



ნახ.4

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ნორმატივების თანახმად, მაჩვენებელი – „მთლიანი დეპოზიტები / მთლიანი აქტივები“ რეკომენდებულია, რომ მოთავსებული იყოს 65%-სა და 90%-ს შორის. განხილული ბანკებიდან აღნიშნულ შუალედში რამდენიმე ვერ მოხვდა, ე.ი მათ მთლიანი აქტივები საშუალებას აძლევს, აიღოს უფრო მეტი დეპოზიტები. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის გარემოება, რომ მოსახლეობა არ ენდობა ბანკებს თავიანთი დანაზოგების განთავსებისათვის, რადგან საქართველოში მოქმედი ვერცერთი კომერციული ბანკი ვერ ახდენს ანაბრის დაზღვევას.


5. მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიანი აქტივები (ნახ.5):



ნახ.5

შემნახველ ან ვადიან დეპოზიტებთან შედარებით, მოთხოვნამდე დეპოზიტები უფრო ადვილად შეიძლება იქნას გატანილი. მათ კლიენტები იყენებენ, როგორც გადახდის საშუალებას. მოთხოვნამდე დეპოზიტები ფულადი რესურსების ნაკლებად სტაბილური წყაროა. ამიტომ ბანკები უნდა ცდილობდეს, რომ მიმზიდველი საპროცენტო განაკვეთების დაწესებით, გაზარდოს ვადიანი და შეამციროს მოთხოვნამდე დეპოზიტები.

6. ვადიანი დეპოზიტები / მთლიანი აქტივები (ნახ.6):



ნახ.6

ვადიანი დეპოზიტები, ძირითადად, ინვესტიციების განსახორციელებლად გამოიყენება. ამიტომ იშვიათად ხდება მათი გატანა განსაზღვრული ვადის დადგომამდე, თუმცა, ეს დამოკიდებულია რეპუტაციის რისკზე.

ბანკის ლიკვიდურობის შეფასებისას, ანალიტიკოსმა ასევე უნდა განიხილოს მოგების, აქტივების ხარისხისა და კაპიტალის ადეკვატურობის არსებული ტენდენციების გავლენა ბანკის ლიკვიდურობაზე, მაგრამ ინტეგრალური შეფასების სერიოზულ ნაკლოვანებას სხვადასხვა ფაქტორების წარსულთან კავშირების აღრიცხვა წარმოადგენს [5].

3. დასკვნა

2007 წლის ივნისის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტმა 40,6% შეადგინა, მაშინ, როცა 2006 წლის ივნისში ეს მაჩვენებელი 34,6% იყო. ლიკვიდურობის დონის ზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის გარემოება, რომ კომერციულ ბანკებს შესაძლებლობა ჰქონდათ განეთავსებინათ სახსრები საქართველოს ეროვნული ბანკის სადებოზიტო სერთიფიკატებში. გარდა ამისა, მთლიანად საბანკო სისტემის და მათ შორის ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის დადგენილი მინიმალური სავალდებულო მოთხოვნის 0-დან 4%-მდე ზრდის ფონზე, გაიზარდა მინიმალური რეზერვებიც საქართველოს ეროვნულ ბანკში. ამ პერიოდისათვის ბანკების გარკვეულ ნაწილს ჭარბი ლიკვიდური აქტივებიც კი გააჩნდა, რაც შენაბრთა სიმშვიდის საფუძველს ქმნის.

ლიტერატურა

1. კომერციული ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდური სახელმძღვანელო. საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2007
2. <http://www.nbg.gov.ge/supervision/>
3. ინფორმაცია საქართველოს კომერციული ბანკების საბალანსო უწყისების შესახებ, გაზეთი - ბანკები და ფინანსები, ოქტომბერი 31, 2007, <http://www.afba.ge/>
4. Damodaran A., "Investment VALUATION", Tools and Techniques for Determining the Value of Any Assets, Second Edition, John Wiley & Sons, Inc, 1997
5. ცაავა გ. რისკოლოგია. თბილისი, 2007

LIQUIDITY ANALYSIS OF GEORGIAN COMMERCIAL BANKS

Giguashvili Nona
Georgian Technical University

Summary

In this work is carried out the liquidity analysis of Georgian commercial banks according to the common ratios. The results of calculation are compared to the normative ratios, which are determined by Georgian National Bank. There is established that Georgian commercial banks have the surplus quantity of liquid assets, which create the basic of depositor's calmness.

АНАЛИЗ ЛИКВИДНОСТИ КОММЕРЧЕСКИХ БАНКОВ ГРУЗИИ

Гигуашвили Н.

Грузинский Технический Университет

Резюме

Проведен анализ ликвидности коммерческих банков Грузии по основным коэффициентам. Итоги вычисления сравнены с нормативами, установленными Национальным Банком Грузии. Установлено, что коммерческие банки Грузии имеют излишние ликвидные активы, которые создают основу спокойствия депозиторов.